

შპს,,საინჟინრონაგებობათაპროექტირების,კვლევისდაექსპერტიზისცენტრ
ი“ LTD “THE SCIENTIFIC CENTER OFINGINEERING
BUILDINGDESIGNING RESEARCH AND EXPERTISE

tel:577588218 599179823(032)2227704

Email:d.tabatadze@18.

12.2025.2025-558

საექსპერტო დასკვნა

თბილისი, პეტრე იბერის ქუჩის შესახვევი #13 (ს/კ 01.10.06.022.009) მდებარე კორექტირებული პროექტით ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შენობა #5-ს მშენებლობის პროცესში მომიჯნავედ მდებარე ცარიელი მიწის ნაკვეთის ს/კ 01.10.06.022.010, საპროექტო შენობა #4-ის, ასევე ს/კ 01.10.06.001.294; ს/კ 01.10.06.001.295 მიწის ნაკვეთებზე მდებარე მშენებარე შენობების და საპროექტო მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.10.06.022.009 მდებარე მშენებარე შენობა #6-ს შესაძლო ზეგავლენის შესახებ, მათი ტექნიკური მდგომარეობის გათვალისწინებით.

ქ. თბილისი

2025 წელი

ვამტკიცებ: შპს ,,საინჟინრო ნაგებობათა პროექტირების, კვლევის და ექსპერტიზის სამეცნიერო ცენტრის“ დირექტორი
დემურტაბატაძე

18.12.2025

საექსპერტო დასკვნა


თბილისი, პეტრე იბერის ქუჩის შესახვევი #13 (ს/კ 01.10.06.022.009) მდებარე კორექტირებული პროექტით ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შენობა #5-ს მშენებლობის პროცესში მომიჯნავედ მდებარე ცარიელი მიწის ნაკვეთის ს/კ 01.10.06.022.010, საპროექტო შენობა #4-ის, ასევე ს/კ 01.10.06.001.294; ს/კ 01.10.06.001.295 მიწის ნაკვეთებზე მდებარე მშენებარე შენობების და საპროექტო მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.10.06.022.009 მდებარე მშენებარე შენობა #6-ის შესაძლო ზეგავლენის შესახებ, მათი ტექნიკური მდგომარეობის გათვალისწინებით.

შემსრულებელი:
ექსპერტი,პროფესორი დჯანყარაშვილი

ქ.თბილისი
2025 წელი

შემადგენლობა

1. ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი 3
2. გამოყენებული აპარატურა 3
3. გამოყენებული ლიტერატურა.....4
4. კვლევითი ნაწილი.....4
5. დასკვნა.....10
6. დანართი 11



1. ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

2024 წლის 14 აპრილის შპს "სტუდიო ალფა სახლი" და შპს ,,საინჟინრო ნაგებობათა პროექტირების, კვლევის და ექსპერტიზის ცენტრს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად დაგვევალა ჩაგვეტარებინა კვლევა პეტრე იბერის ქუჩის შესახვევი #13 (ს/კ 01.10.06.022.009) მდებარე კორექტირებული პროექტით ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შენობა #5-ს მშენებლობის პროცესში მომიჯნავედ მდებარე ცარიელი მიწის ნაკვეთის ს/კ 01.10.06.022.010, საპროექტო შენობა #4-ის, ასევე ს/კ 01.10.06.001.294; ს/კ 01.10.06.001.295 მიწის ნაკვეთებზე მდებარე მშენებარე შენობების და საპროექტო მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.10.06.022.009 მდებარე მშენებარე შენობა #6-ს შესაძლო ზეგავლენის შესახებ, მათი ტექნიკური მდგომარეობის გათვალისწინებით.

2. გამოყენებული აპარატურა

1. ლაზერული მანძილმზომი „STANLEYTLM3000“№1-77-930;
2. ციფრული ფოტოაპარატი „FUJIFILM”№1WR51706;
3. სკლერომეტრული ჩაქუჩი „ELCOMETER181“№11005989;

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილება №255 ქ.თბილისი ,,მშენებლობის ნებართბის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“

2. სამშენებლო ნორმების და წესების-„სეისმომედეგი მშენებლობა“ (პრ01.01-09) საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/2284. 200 9წლის 7 ოქტომბერი, ქ. თბილისი;

1. სამშენებლო ნორმების და წესების - „ბეტონის და რკინაბეტონის კონსტრუქციები“ (პრ 01.01-09) საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება№ 1-1/2391. 2009 წლის 23 ოქტომბერი, ქ. თბილისი;
2. სამშენებლო ნორმების და წესების -„შენობების და ნაგებობების ფუძეები“(პრ 02.01-08) საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/1924.2008 წლის 17 სექტემბერი, ქ.თბილისი;


СНиП 2ю02ю01-83* „შენობების და ნაგებობების ფუძეები“ (1995 წ- სგანახლება) СП 13-102-2003, Правила обследования технического состояния несущих стройтельных конструкций зданий и сооружений.

წარმოდგენილი მასალები

თბილისი, პეტრე იბერის ქუჩის შესახვევი #13 (ს/კ 01.10.06.022.009)მდებარე ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შენობა #5 მშენებლობის კორექტირებული პროექტის- არქიტექტურული- და კონსტრუქციული ნაწილი – ელ-ვერსია;

2 თბილისი, პეტრე იბერის ქუჩის შესახვევი #13 (ს/კ 01.10.06.022.009)მდებარე ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შენობა #5 მშენებლობისათვის გამოყოფილი სამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ტექნიკური ანგარიში– ელ-ვერსია;





საკადასტრო გეგმა

ექსპერტიზაზე წარმოდგენილი თბილისი, პეტრე იბერის ქუჩის შესახვევი #13 (ს/კ 01.10.06.022.009) მდებარე ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შენობა #5 ის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებულია კონსტრუქტორ გიორგი ყალაბეგაშვილის მიერ. კორექტირების საფუძველია:

1. მიწისქვეშა სართულებზე დაზუსტდა შახტების რაოდენობა და კონფიგურაცია;

2. „8-9“ ღერძებში არსებულმა კიბის და ლიფტის უჯრედმა მოინაცვლა ადგილი;

3. მესამე სართულზე ,,5-11” ღერძებში დაემატა სართული და განთავსდა ბინები.

პროექტის მიხედვით ასაშენებელი შენობა შედგება `ა~ და `ბ~ ბლოკისგან.

`ა~ ბლოკი მოიცავს ერთი მაღლივ, ორ მიწისქვედა ორსართულიან და ერთ ოთხსართულიან შენობას, რომლის ორი სართული მიწისქვეშაა განთავსებული.

`ბ~ ბლოკი მოიცავს ერთი მაღლივ და სამ ორსართულიან მიწისქვეშა შენობას.

`ა~ და `ბ~ ბლოკის ორივე მაღლივი შენობა ოცდასამსართულიანია ორი მიწისქვედა

სართულით.

. შენობის საძირკვლის ტიპი და ჩაღრმავება განსაზღვრულია ობიექტის განთავსების ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგებიდან გამომდინარე.

მაღლივი შენობის საძირკველს წარმოადგენს რკინაბეტონის 150 და 120 სმ დიამეტრის ხიმინჯები, რომლის ძირებიც მინიმუმ 4 მეტრით ჩაანკერებულია კლდოვან ქანში _ სგე 5 (ქვიშაქვებისა და არგელიტების მორიგეობა) და რკინაბეტონის მონოლითური ფილა (ფილის სისქე h=120.0 სმ). საძირკვლის ფილის ქვეშ გამოყენებულია B7.5 კლასის ბეტონის მომზადება,

სისქით 10 სმ.

ორსართულიანი მიწისქვეშა საპარკინგე შენობის საძირკველი 40 სმ სისქის მონოლითური რკინაბეტონის ფილაა.

საძირკვლების ქვეშ გამოყენებულია B7.5 კლასის ბეტონის მომზადება, სისქით 10 სმ. დაფუძნება ხორციელდება ხელოვნურ ფუძეზე, რომელიც წარმოდგენილია დატკეპნილი ბალასტის 0.7 მ სიმძლავრის ბალიშის სახით. ბალასტის შემკვრივება განხორციელდეს 30 სმ სისქის ფენებად, ტკეპნის კოეფიციენტით არანაკლებ_0.95(95%).

A ბლოკი

`ა~ ბლოკი მართკუთხა მოხაზულობისაა მოიცავს ერთი მაღლივ, ორ მიწისქვედა ორსართულიან და ერთ ოთხსართულიან შენობას, რომლის ორი სართული მიწისქვეშაა განთავსებული მაღლივი შენობის საერთო სიმაღლე -6.35 ნიშნულიდან შეადგენს 86.15მ. შენობის მაქსიმალური ზომები გეგმაში ღერძებში არის 17.5 X 52.0 მეტრი. სართულების სიმაღლეები ცვლადია, მიწისქვეშა ნაწილში სართულების სიმაღლე შეადგენს 3.35 მეტრს. დს 3.0 მეტრს შენობის პარკინგის ორივე სართულზე შესვლა ხორციელდება შესაბამისი დონეებიდან, შიდა პანდუსის გამოყენებით.

` B ბლოკი Г მოხაზულობისაა მოიცავს ერთი მაღლივ და სამ ორსართულიან მიწისქვეშა შენობას სადაც გამოყოფილი არის საპარკინგე სივრცეები შენობის მაქსიმალური ზომები გეგმაში ღერძებში არის 37.4X52.0 მეტრი. სართულების სიმაღლეები ცვლადია, მიწისქვეშა ნაწილში სართულების სიმაღლე შეადგენს 3.35 მეტრს. დს 3.0 მეტრს შენობის პარკინგის ორივე სართულზე შესვლა ხორციელდება შესაბამისი დონეებიდან, შიდა პანდუსის გამოყენებით.

შენობის დაფუძნების პირობები:

. უბნის ამგებ გრუნტებში, სამშენებლო თვისებების მიხედვით გამოიყოფა საველე და ლაბორატორიული კვლევების ანალიზის საფუძველზე ხუთი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი. I სგე წარმოადგენს ნაყარ გრუნტს, მას აქვს დაბალი ფიზიკურ-მექანიკური თვისებები და ფუძის გრუნტებად არ განიხილება. II სგე წარმოადგენს ძნელპლასტიური კონსისტენციის თიხას, რომელიც შეიცავს წყალშემცველი ქვიშნარის ლინზებს. გრუნტს აქვს სიმტკიცის და დეფორმაციის დამაკმაყოფილებელი მახასიათებლები, თუმცა, წყლის შემცველობის გამო, მასზე მაღალსართულიანი შენობის დაფუძნება პრობლემატური იქნება. III სგე წარმოადგენს მაიკოპის ტიპის შრეებრივ ძირითად თიხას. გრუნტს აქვს დამაკმაყოფილებელი მახასიათებლები, თუმცა, ტერიტორიაზე არაერთგვაროვანი სიმძლავრით გავრცელების გამო, ფუძის გრუნტებად მისი გამოყენება რეკომენდებული არის. IV სგე წარმოადგენს ნახევრადკლდოვან ქანს, თიხაფიქლების და არგილიტების მორიგეობას, გრუნტი დაბალი სიმტკიცისაა, აქვს სიმტკიცის და დეფორმაციის კარგი

მახასიათებლები, მისი გამოყენება ფუძის გრუნტებად შესაძლებელია. V სგე წარმოადგენს კლდოვან ქანს, მცირე სიმტკიცის ქვიშაქვებს. გრუნტს აქვს სიმტკიცის და დეფორმაციის მაღალი მახასიათებლები, უბნის გეოლოგიურ-ლითოლოგიური სურათიდან და დასაპროექტებელი

კომპლექსის ტექნიკური მახასიათებლებიდან (23 სართული) გამომდინარე,

საძირკვლების ფუძე-გრუნტებად გამოყენებული იქნება V სგე-ს

გრუნტი შენობის საძირკვლის ტიპი და ჩაღრმავება განსაზღვრულია ობიექტის განთავსების ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგებიდან გამომდინარე.

ა~ ბლოკი მოიცავს ერთი მაღლივ, ორ მიწისქვედა ორსართულიან და ერთ ხუთსართულიან შენობას რომლის ორი სართული მიწისქვეშაა განთავსებული.

`ბ~ ბლოკი მოიცავს ერთი მაღლივ და სამ ორსართულიან მიწისქვეშა შენობას.

`ა~ და `ბ~ ბლოკის ორივე მაღლივი შენობა ოცდასამსართულიანია ორი მიწისქვედა სართულით ა) ბლოკი მართკუთხა მოხაზულობისაა `. ბ)B ბლოკი Г მოხაზულობისაა და 23 სართულიანია, აქედან 2 მიწისქვეშა სართულია. მაღლივი შენობის საძირკველს წარმოადგენს რკინაბეტონის 150 და 120 სმ დიამეტრის ხიმინჯები, რომლის ძირებიც მინიმუმ 4 მეტრით ჩაანკერებულია კლდოვან ქანში _ სგე 5 (ქვიშაქვებისა და არგელიტების მორიგეობა) და მთლიანი როსტვერკის რკინაბეტონის მონოლითური ფილა (ფილის სისქე h=120.0 სმ). საძირკვლის ფილის ქვეშ გამოყენებულია B7.5 კლასის ბეტონის მომზადება, სისქით 10 სმ. 2 სართულიანია და ხუთსართულიანი

მიწისქვეშა საპარკინგე შენობის საძირკველი 40 სმ სისქის მონოლითური რკინაბეტონის ფილაა. საძირკვლების ქვეშ გამოყენებულია B7.5 კლასის ბეტონის მომზადება, სისქით 10 სმ. დაფუძნება ხორციელდება ხელოვნურ ფუძეზე, რომელიც წარმოდგენილია დატკეპნილი ბალასტის 0.7 მ სიმძლავრის ბალიშის სახით. ბალასტის შემკვრივება განხორციელდეს 30 სმ სისქის ფენებად, ტკეპნის კოეფიციენტით არანაკლებ_0.95(95%).

ხიმინჯის მზიდუნარიანობის საჭირო სიდიდე გამოთვლილია სნ და წ

2.02.03-85-ის მე-5 და მე-6 ფორმულებით, ფუძე-გრუნტში ხიმინჯის შესვლის სიგრძესთან და დიამეტრთან დამოკიდებულებაში შენობის სისტემის კონსტრუქციული გადაწყვეტა.

კონსტრუქციული სქემის გადაწყვეტის მიხედვით შენობა მიეკუთვნება მონოლითური

რკინაბეტონის ჩარჩო-კავშირებიან სივრცულ სისტემას სიხისტის ბირთვებითა და სიხისტის დიაფრაგმებით, რომლის მზიდი ელემენტებია:

მონოლითური რკინაბეტონის საძირკვლის ფილა – ა ბ , ბლოკის ორსართულიანი და ხუთსართულიანის საძირკველის ფილის სისქე არის h=40.0 სმ. საძირკველში გამოყენებული ბეტონის კლასია B-30 სულფატ მდგრადი Ƒ6) გამოყენებული არმატურის კლასი გრძივი და განივი მიმართულებებზე A500ჩ.

ა) ბლოკი და ბ) B ბლოკის 150 და 120 სმ დიამეტრის ხიმინჯების საძირკველის როსტვერკის ფილის სისქე არის h=120.0 სმ. საძირკველში გამოყენებული ბეტონის კლასია B-35. (სულფატმდგრადი Ƒ6) გამოყენებული არმატურის კლასი გრძივი და განივი მიმართულებებზე A500ჩ.

შენობის მზიდ ელემენტებს წარმოადგენს:

მონოლითური რკინაბეტონის სვეტები - შენობის სვეტების განიკვეთის ზომები

ცვალებადია ისინი მორგებულნი არიან შენობის არქიტექტურულ გეგმარებას და მცირდებიან შენობის სიმაღლის მიხედვით. სვეტის კვეთია 150.0X50.0 140.0X50.0; 120.0X50.0; 100.0X50.0; 80.0X50.0; 80X30 და 50.0X50.0 სვეტებში გამოყენებული ბეტონის კლასია B-35. გამოყენებული არმატურის კლასი A500C და A240C კლასის არმატურა. A500C კლასის არმატურა შესაძლებელია შეიცვალოს B500B კლასის არმატურით.

მონოლითური რკინაბეტონის შემომზღუდი კედლები, დიაფრაგმები და ბირთვი - პერიმეტრის შემომზღუდი კედლები სარდაფის დონეზე 300 მმ სისქისაა, მასში გამოყენებული არის B-35 კლასის ბეტონი. სიხისტის ბირთვის კედლები 300 მმ და 200 მმ სისქისაა. L დიაფრაგმები 200 მმ და 300 მმ სისქის. მონოლითურ კედლებში და სიხისტის ბირთვის კედლებში გამოყენებული ბეტონის კლასია B35. გამოყენებული არმატურის კლასი A500ჩ და A240ჩ კლასის არმატურა. A500ჩ კლასის არმატურა შესაძლებელია შეიცვალოს B500B კლასის არმატურით.

მონოლითური რკინაბეტონის სართულშუა გადახურვის ფილები და კიბის მარშ-ბაქნები -

შენობის გადახურვები განხორციელებული არის მონოლითური რკინაბეტონის წიბოვანი ფილებით, სისქით 20.0 სმ. ფილის წიბო განივი კვეთით 50.0X50.0 და 50X20 სანტიმეტრი.. მონოლიური რკინაბეტონის კიბის პანდუსები სისქით h=20 სანტიმეტრი კიბის მარშ-ბაქნებში გამოყენებული ბეტონის კლასია B35.

გამოყენებული არმატურის კლასი გრძივი და განივი მიმართულებებზე A500ჩ.

პირობით 0,00 ნიშნულად მიღებულია პირველი სართულის იატაკის ზედაპირი, არქიტექტურული ნახაზების მიხედვით. შენობის სართულების დამაკავშირებელი კონსტრუქცია არის შენობის ბირთვში განთავსებული კიბის უჯრედი და მექანიკური ამწე საშუალება – ლიფტი.

შენობის გარე შემომფარგვლელი კედლები და შიდა ტიხრები განხორციელებულია თანამედროვე ტექნოლოგიებით დამზადებული გაზო ბლოკებით,სისქით 25 სმ კარკასის შემავსებელი ბეტონის წვრილი ბლოკის წყობა დაარმირდეს 6მ დიამეტრის A240 კლასის არმატურის ბადეებით (ორი ღერო ყოველ 60 სმ-ში), რომლის ბოლოებიც ჩაანკერდეს კარკასის ელემენტებში.

მომიჯნავე შენობები მომიჯნავედ მდებარე შენობები

ს/კ 01.10.06.001.294 მიწის ნაკვეთზე მდებარე მშენებარე შენობა.




მომიჯნავე საპროექტო შენობა: ს/კ 01.10.06.022.010 ნაკვეთის შენობა #4





საპროექტო ს/კ 01.10.06.022.010 ნაკვეთის მშენებარე შენობა #6



მომიჯნავე შენობებია:

ს/კ 01.10.06.022.010 ნაკვეთზე მდებარე საპროექტო შენობის მახასიათებლები:

საძირკვლის ტიპი - კომბინირებული.

23 მიწისზედა და ორი მიწისქვეშა სართული.

აბსოლუტური ნიშნული 0,00=494.00

-2 სართულის იატაკი მდებარეობს -6,35 ნიშნულზე.

ს/კ 01.10.06.022.009 ნაკვეთზე მდებარე მშენებარე შენობის მახასიათებლები:

შენობა #6 -ის საძირკვლის ქვაბული დაშორებულია საპროექტო შენობიდან 25.9 მეტრით

ს/კ 01.10.06.001.294 ნაკვეთზე მდებარე შენობის მახასიათებლები:


საძირკვლის ტიპი - კომბინირებული.

12 მიწისზედა და 2 მიწისქვეშა სართული. აბსოლუტური ნიშნული 0,00=500,5

-2 სართულის იატაკი მდებარეობს -6,0 ნიშნულზე. შენობა გეგმაში მართკუთხედის ფორმის მომიჯნავე ცარიელი ნაკვეთები (ს.კ. 01.10.06.022.010) (ს.კ. 01.10.06.001.295) (ს.კ. 01.10.01.022.296).

ვიზუალური და ინსტრუმენტალური გამოკვლევით მომიჯნავე მშენებარე შენობების და ნაკვეთების ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მათ არ გააჩნია ჯდენითი დეფორმაციის ნიშნები, რომელიც უარყოფით გავლენას მოახდენდა მათ მდგრადობაზე არსებული მომიჯნავე შენობის ტექნიკურიმდგომარეობის(მდგრადობის) გათვალისწინებით დაწარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციი სმიხედვით დაგეგმილი **სამშენებლო სამუშაოების შესრულება შესაძლებელია** და უარყოფით გავლენას არ მოახდენს შენობის მდგრადობაზე.

ხელშეკრულების თანახმად საჭიროა განისაზღვროს მშენებარე შენობის გავლენა მეზობელ შენობებზე. დადგინდეს, თუ რამდენად უნდა იყოს დაცილებული მშენებარე საძირკველი არსებული შენობების საძირკვლისგან მისი მდგრადობის უზრუნველყოფისთვის.



ნახ.1ჩაღრმავება არსებულ საძირკველთან

1არსებულისაძირკველი, 2 საპროექტოსაძირკველი

აღნიშნულიშენობის და მიმდებარე შენობების საძირკვლებს შორის მანძილი ნორმებით გამოითვლება ფორმულით:

$$a \geq \frac{\Delta h}{tg\varphi_1 + \frac{c_1}{p}}. \qquad (1)$$

სადაც: α-საძირკვლებს შორის მანძილია; C=კგძ/სმ2; Φ= -ფუძე- გრუნტების შეჭიდულობის ძალის და შიგა ხახუნის კუთხის საანგარიშო მნიშვნელობებია; p-ზედა საძირკვლის ძირზე საშუალო საანგარიშო დატვირთვაა, ნორმების მიხედვით P=კგძ/სმ^2.

საპროექტო (ს.კ.01.10.06.022.009) კორპუსი # 5 მაღლივი შენობის საძირკველს წარმოადგენს რკინაბეტონის 150 და 120 სმ დიამეტრის ხიმინჯები, რომლის ძირებიც მინიმუმ 4 მეტრით ჩაანკერებულია კლდოვან ქანში _ სგე 5 (ქვიშაქვებისა და არგელიტების მორიგეობა) და ნიშნულზე -6.5 მეტრი მთლიანი როსტვერკის რკინაბეტონის მონოლითური ფილა (ფილის სისქე H =120.0 სმ). აღნიშნულიდან გამომდინარე ნორმების თანახმად მშენებარე შენობის ნულოვანი ნიშნულის სამუშაოები და შემდგომი სამუშაოები არ მოახდენს უარყოფით გავლენას მომიჯნავე შენობებზე და ცარიელი მიწის ნაკვეთებზე.

სხვა საკითხია ქვაბულის გვერდების მდგრადობა. მიწის სამუშაოების უსაფრთხო შესრულებისათვის უნდა შესრულდეს ქვაბულის ჩაჭრა ბუნებრივი ქანობით ქვაბულის მოწყობის სათანადო პროექტის მიხედვით ან მოეწყოს დამცავი კედელი (შპუნტური კედელი ან ხიმინჯოვანი ფარდა კონსტრუქტორთან შეთანხმებით.)

კვლევის ანალიზით დღეის მდგომარეობით არსებული მშენებარე შენობის ტექნიკური მდგომარეობის (მდგრადობის) და წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების შესრულება შესაძლებელია.

შესასრულებელი სამუშაოები უნდა შესრულდეს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნების დაცვით.

დასკვნა

თბილისი, პეტრე იბერის ქუჩის შესახვევი #13 (ს/კ 01.10.06.022.009) მდებარე ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შენობა #5-ს კორექტირებული პროექტით მშენებლობის მომიჯნავედ მდებარე ცარიელი მიწის ნაკვეთების: ს.კ. 01.10.06.001.295; ს.კ. 01.10.01.022.296; ს/კ 01.10.06.022.010 და მომიჯნავე მშენებარე შენობების: ს.კ. 01.10.06.001.294; ს.კ.01.10.06.022.009 შესაძლო გავლენის კვლევით ვადგენთ:

საპროექტო (ს.კ.01.10.06.022.009) კორპუსი #5 მაღლივი შენობის საძირკველს წარმოადგენს რკინაბეტონის 150 და 120 სმ დიამეტრის ხიმინჯები, რომლის ძირებიც მინიმუმ 4 მეტრით ჩაანკერებულია კლდოვან ქანში _ სგე 5 (ქვიშაქვებისა და არგელიტების მორიგეობა) და ნიშნულზე -6.5 მეტრი მთლიანი როსტვერკის რკინაბეტონის მონოლითური ფილა (ფილის სისქე H =120.0 სმ).

აღნიშნულიდან გამომდინარე ნორმების თანახმად მშენებარე შენობის ნულოვანი ნიშნულის სამუშაოები და შემდგომი სამუშაოები არ მოახდენს უარყოფით გავლენას მომიჯნავე შენობებზე და ცარიელი მიწის ნაკვეთებზე.

ქვაბულის მიწის სამუშაოების უსაფრთხო შესრულებისათვის უნდა შესრულდეს ქვაბულის ჩაჭრა ბუნებრივი ქანობით, ქვაბულის მოწყობის სათანადო პროექტის მიხედვით, ან მოეწყოს დამცავი კედელი (შპუნტური კედელი ან ხიმინჯოვანი ფარდა კონსტრუქტორთან შეთანხმებით.)

შესასრულებელი სამუშაოები უნდა შესრულდეს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა დაწესების მოთხოვნების დაცვით. მკაცრად იქნეს დაცული შრომის უსაფრთხოებისწესები.

კვლევის ანგარიში შეადგინა :

ექსპერტი: დ.ჯანყარეშვილი


.;

დანართი










ALPHA